ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 6-18

"18" მარტი 2016 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილებაამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესი

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13), ქვეპროგრამების: „თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 04), „ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07)და„მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 11)განხორციელების პირობებს და პროცედურებს.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებში „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09)და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13), ქვეპროგრამებში: „თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 04), „ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07) და „მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 11), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

3. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13), ქვეპროგრამების: „თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 04), „ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07)და „მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 11) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისმიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებაზე.

4. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13), ქვეპროგრამების: „თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 04), „ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07)და „მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 11) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ორგანიზებით კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებაზე.

5. ამ წესის შესაბამისად, ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქმნის კულტურის სფეროს პროექტების განმხილველ კომისიას (შემდგომში - კომისია). კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამით„კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09)ფარგლებში გათვალისწინებულ არქეოლოგიურ კვლევებს, არქეოლოგიურ საპროექტო განაცხადებს და არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებულ საკითხებს (შემდგომში - არქეოლოგიური პროექტები) განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შექმნილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭო (შემდგომში - საბჭო).

მუხლი 2.დაფინანსების მიმღები სუბიექტები

ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტები არიანსაჯარო სამართლის იურიდიული პირები (სახელმწიფოს მიერ კანონის ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე დაფუძნებული) ანარასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდული პირები, რომელთა პროექტიც ორიენტირებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიზნებისათვის კულტურის სფეროს განვითარებაზე.

მუხლი 3. საპროექტო განაცხადისწარდგენა

1. დაფინანსების მისაღებად დაინტერესებულმა სუბიექტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს (შემდგომში - სამსახური),რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სრულყოფილად შევსებული, საპროექტო განაცხადი. საპროექტო განაცხადს, აგრეთვე უნდა ერთვოდეს სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. საპროექტო განაცხადის ფორმას და წარსადგენი დოკუმეტების ნუსხას განსაზღვრავს სამსახური.

3. სამსახური ამოწმებს საპროექტო განაცხადის დადგენილ ფორმასთან და ამ წესთან შესაბამისობას.თუ დაინტერესებული სუბიექტისმიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი არ შეესაბამება დადენილ მოთხოვნებს ან/და არ არის წარდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, სამსახური დაინტერესებულ სუბიექტს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს არანაკლებ 5(ხუთი)კალენდარულ დღეს.

4. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხევაში საპროექტო განაცხადი არ განიხილება.

მუხლი 4.საპროექტო განაცხადის განხილვა და დაფინანსება

1.თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სამსახური საპროექტო განაცხადს განსახილველად უგზავნის კომისიას, ხოლო არქეოლოგიურ პროექტებს - საბჭოს.

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისბიუჯეტითგათვალისწინებული პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09)და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13), ქვეპროგრამების: „თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“(კოდი 08 01 04), „ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07) და „მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“(კოდი 08 03

11)გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება შესაძლოა განხორციელდეს დაფინანსებით ან თანადაფინანსებით.

3. საპროექტო განაცხადისგანხილვისას და დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება საპროექტო განაცხადისშესაბამისობა ამ წესით დადგენილ მიმართულებებთან/პრიორიტეტებთან, მისი განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, პროექტის დასაბუთებულობა და ინტელექტუალური ღირებულება, აგრეთვე განმცხადებლის გამოცდილება და უნარი განახორციელოს წარდგენილი პროექტი.

4. დაფინანსებას ექვემდებარება საპროექტოგანაცხადი შემდეგი მიმართულებით:

ა) პროგრამის „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09) ფარგლებში:

ა.ა) კულტურის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა;

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება;

ა.გ) ქართული ტრადიციულიდა თანამედროვე კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება;

ა.დ) ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა საზღვარგარეთ;

ა.ე) ხელოვნების და კულტურის განვითარების მხარდამჭერი პროექტების განხორციელება;

ა.ვ) არქეოლოგიური კვლევების, პროექტებისა და გათხრების ხელშეწყობა.

ბ) პროგრამის „ინკულზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13) ფარგლებში:

ბ.ა) ინკლუზიური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;

ბ.ბ) ინკლუზიური ხელოვნების შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა;

გ) ქვეპროგრამის „თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 04) ფარგლებში:

გ.ა) თეატრალური ხელოვნებისინოვაციური პროექტების დანერგვისხელშეწყობა;

გ.ბ)თეატრალური ფესტივალების და სხვა თეატრალურიდა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება;

გ.გ) სხვადასხვა თეატრალური დადგმების ხელშეწყობა;

გ.დ)საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში სხვადასხვა დასების მონაწილეობის უზრუნველყოფა;

დ) ქვეპროგრამის „ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07) ფარგლებში:

დ.ა)ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა საპილოტე პროგრამების განხორციელება;

დ.ბ)ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა;

დ.გ)საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ინტეგრირებული სპექტაკლების განხორციელების საშუალებით;

ე) ქვეპროგრამის „მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 11) ფარგლებში:

ე.ა) მუზეუმების პოპულარიზაციის მიზნით სხადასხვა პროექტების დანერგვის ხელშეწყობა და განვითარება;

ე.ბ) კულტურულ - შემეცნებითი პროექტების განხორციელება;

ე.გ.) მუზეუმების ცნობადობის ასამაღლებლად მარკეტინგული პროექტების-განხორციელება.

5.თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 10 000 (ათაათასი) ლარს, კომისია/საბჭო დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე საპროექტო განაცხადსგანიხილავს და დადებითი შეფასების შემთხევაში,საპროექტო განაცხადისდაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციითმიმართავს სამსახურის უფროსს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხევაში, საპროექტო განაცხადის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის-უფროსი.

7. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 10 000 (ათი ათასი) ლარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, კომისია/საბჭო საპროექტო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებრეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს, რათა მან აღნიშნული პროექტი განსახილველად წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

8.ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

9. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, კომისია/საბჭო უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს შესწორებულისაპროექტო განაცხადისწარდგენა არაუმეტესათი სამუშაო დღის ვადაში.

10.საპროექტო განაცხადიკომისიას/საბჭოსარ ეგზავნება განსახილველად და განმცხადებელს წერილობით ეცნობება დასაბუთებული უარყოფითი პასუხი თუგანაცხადიარ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 5. დაფინანსების გაცემა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისბიუჯეტით პროგრამის „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09), „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13), ქვეპროგრამების: „თეატრალური ხელოვნებისხელშეწყობა“ (კოდი 08 01 04), „ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07)და „მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 11) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსებას სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 6. კონტროლის განხორციელება

ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს ახორციელებს სამსახური, სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმებით.

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:
წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13), ქვეპროგრამების: „თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“(კოდი 08 01 04), „ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07)და „მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 11)განხორციელების პირობებს და პროცედურებს.წესის განმახორციელებელიაქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის - მიერ დაფუძნებული კომისია, რომელიც განიხილავს სამსახურში შემოსულ განაცხადებს და დადებითი გადაწყვეტილების შემთხევავში, გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ წარუდგენს სამსახურის უფროსს თუ საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 10 000 ლარს. თუ მოთხოვნილი თანხა აღემატება 10 000 ლარს, პროექტი დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განსახილველად წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

აღნიშნული წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებში „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13), ქვეპროგრამებში: „თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 04), „ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07) და „მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 11), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში. ასევე, ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13), ქვეპროგრამების: „თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“(კოდი 08 01 04), „ინკლუზიურითეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07) და „მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 11) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებაზე. ·ასევე, ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13), ქვეპროგრამების: „თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“(კოდი 08 01 04), „ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01 07)და „მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 11) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ორგანიზებით კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამით „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 09) ფარგლებში გათვალისწინებულ არქეოლოგიურ კვლევებს, არქეოლოგიურ საპროექტო განაცხადებს და არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებულ საკითხებს (შემდგომში - არქეოლოგიური პროექტები) განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შექმნილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭო (შემდგომში - საბჭო).

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.